



2024

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	19
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	20
6. ძირითადი საშუალებები	23
7. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	24
8. მარაგები	24
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
10. გაცემული ავანსები	25
11. ფული და ფულის ექვივალენტები	25
12. მიღებული სესხი	25
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
14. კაპიტალი	26
15. შემოსავალი	26
16. გაყიდვების თვითღირებულება	26
17. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	27
19. საკუროსო მოგება	28
20. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	28
21. მოგების გადასახადი	28
22. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	29
23. ფინანსური რისკის მართვა	29
24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
26. წინა პერიოდის შესადარისი რიცხვების კორექტირება	32

მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მუშაუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდეგში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხებისა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3.4-ის მიხედვით („ფინანსური ინსტრუმენტები – პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება“), ჯგუფი მეკავშირე საწარმოებში ყველა ტიპის ინვესტიციას აღრიცხავს კაპიტალის მეთოდის გამოყენებით.

აღნიშნული სააღრიცხვო მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, IFRS 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე, ასეთი ინვესტიციები უნდა აღიარდეს სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ასახული უნდა იყოს მოგება-ზარალში. აუდიტის პროცესში ჩვენ არ გვქონდა წვდომა შესაბამის მონაცემებთან, რაც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა აღნიშნული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭიროებს თუ არა და რა ოდენობით საჭიროებს კორექტირებას აღნიშნული ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მასთან დაკავშირებული შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი ინვესტიციების ბალანსური ღირებულება შეადგენს 1,495,059 ლარს (2023 წ.: 1,495,059 ლარი).

2020 წელს მოხდა ჯგუფში შერწყმის ოპერაცია შპს აჭარის ა.რ ონკოლოგიის ცენტრთან. შერწყმის შედეგად ჯგუფის ბალანსზე 2020 წლის აყვანილ იქნა შერწყმული ჯგუფის ძირითადი საშუალებები ექსპერტის მიერ წარმოდგენილი შეფასების დასკვნის საფუძველზე, როგორც ეს მოითხოვება ფასს-ის მიხედვით. ამ ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული იყო დასკვნის შედეგად 14,722,633 ლარით. ჯგუფმა შემდგომ განაგრძო ამ ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებით აღრიცხვას და მათზე წრფივი მეთოდით ცვეთის დარიცხვას (დარიცხული ცვეთა: 2024 წლის 31 დეკემბრით 5,112,271 ლარი და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,991,620 ლარი. ცვეთის ხარჯი: 2024 წლის 1,120,651 ლარი და 2023 წლის განმავლობაში 1,120,651 ლარი). ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა არ შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა მოცემული ძირითადი საშუალებების ღირებულება რამდენად სწორადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში. შედეგად, ჩვენ ვერ გამოვთქვამთ რწმუნებას აღნიშნულ ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, მასთან დაკავშირებულ აკუმულირებულ ცვეთასა (2024 წლის 1 იანვრსა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) და ცვეთის ხარჯზე.

როგორც შენიშვნა 26-შია ნახსენები, ჯგუფში დააკორექტირა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულების მეთოდით, შესაბამისად, წინა პერიოდებში ამ რეზერვის წარმოშობის სისწორეში ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესაბამისი სარწმუნო დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტებები.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

წინა პერიოდის ანგარიში

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2024 წლის 30 დეკემბერს.

წინა პერიოდის ანგარიშის კორექტირება

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, რომელიც ეხება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ჩვენ ასევე ჩავატარეთ 26-ე შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების აუდიტი, რომლებიც შეტანილი იქნა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელსაც გაცემული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი აზრით, აღნიშნული კორექტირება მიზანშეწონილია და სათანადოდ არის აღრიცხული. ჩვენი ამოცანა არ იყო ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების აუდიტი, მიმოხილვა ან რაიმე სხვა პროცედურების ჩატარება მასზე, გარდა ზემოთ ნახსენები კორექტირებებისა, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას, ან რაიმე რწმუნებას ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხებთან მიმართებაში არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფის არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენ განვიხილავთ აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

26 სექტემბერი 2025



შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	54,858,157	57,064,062	24,953,398
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	7	1,868,700	1,738,768	1,745,759
არამატერიალური აქტივები		7,499	501	574
სულ გრძელვადიანი აქტივები		56,734,356	58,803,331	26,699,731
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	2,612,473	2,616,459	2,105,998
გადახდილი ავანსები	10	1,770,917	1,404,250	1,043
სხვა აქტივები		19,086	187,008	316,451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	12,186,313	8,754,352	7,912,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	704,445	292,391	1,256,234
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,293,234	13,254,460	11,592,342
სულ აქტივები		74,027,590	72,057,791	38,292,073
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	16,533,403	43,174,163	10,576,776
მიღებული სესხები	12	3,143,502	826,395	-
საგადასახადო ვალდებულებები		1,345,880	860,082	598,012
მიღებული ავანსები		4,000	3,999	4,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,026,785	44,864,639	11,178,788
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	26,534,779	1,239,593	2,780,380
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,534,779	1,239,593	2,780,380
სულ ვალდებულებები		47,561,564	46,104,232	13,959,168
საწესდებო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	3,803,327	3,803,325	3,803,327
გაუნაწილებელი მოგება	14	22,662,699	22,150,234	20,529,578
სულ საკუთარი კაპიტალი		26,466,026	25,953,559	24,332,905
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		74,027,590	72,057,791	38,292,073

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	54,858,157	57,064,062	24,953,398
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	7	1,868,700	1,738,768	1,745,759
არამატერიალური აქტივები		7,499	501	574
სულ გრძელვადიანი აქტივები		56,734,356	58,803,331	26,699,731
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	2,612,473	2,616,459	2,105,998
გადახდილი ავანსები	10	1,770,917	1,404,250	1,043
სხვა აქტივები		19,086	187,008	316,451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	12,186,313	8,754,352	7,912,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	704,445	292,391	1,256,234
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,293,234	13,254,460	11,592,342
სულ აქტივები		74,027,590	72,057,791	38,292,073
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	13	16,533,403	43,174,163	10,576,776
მიღებული სესხები	12	3,143,502	826,395	-
საგადასახადო ვალდებულებები		1,345,880	860,082	598,012
მიღებული ავანსები		4,000	3,999	4,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,026,785	44,864,639	11,178,788
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები.	12	26,534,779	1,239,593	2,780,380
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,534,779	1,239,593	2,780,380
სულ ვალდებულებები		47,561,564	46,104,232	13,959,168
საწესდებო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	3,803,327	3,803,325	3,803,327
გაუნაწილებელი მოგება	14	22,662,699	22,150,234	20,529,578
სულ საკუთარი კაპიტალი		26,466,026	25,953,559	24,332,905
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		74,027,590	72,057,791	38,292,073

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 ნოემბერს:

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია



შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	15	59,129,988	35,284,011
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(40,313,477)	(20,912,124)
		18,816,511	14,371,887
სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(14,942,597)	(9,847,782)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)	9	(80,507)	(634,025)
საოპერაციო მოგება		3,793,407	3,890,080
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	18	994,477	255,127
მეკავშირე საწარმოს წლის გაუფასურება/ზრდა		15,931	(799,090)
საკუთროს მოგება/ზარალი	19	(253,499)	(23,092)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	20	(3,448,972)	(128,138)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,101,344	3,194,887
მოგების გადასახადი		(96,800)	(285,747)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,004,544	2,909,140
		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,004,544	2,909,140

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარიში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	15	59,129,988	35,284,011
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(40,313,477)	(20,912,124)
		18,816,511	14,371,887
სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(14,942,597)	(9,847,782)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)	9	(80,507)	(634,025)
საოპერაციო მოგება		3,793,407	3,890,080
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	18	994,477	255,127
მეკავშირე საწარმოს წლის გაუფასურება/ზრდა		15,931	(799,090)
საკუროს მოგება/ზარალი	19	(253,499)	(23,092)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	20	(3,448,972)	(128,138)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		1,101,344	3,194,887
მოგების გადასახადი		(96,800)	(285,747)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,004,544	2,909,140
		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,004,544	2,909,140

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 აპრილს.

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია



შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,967,148	10,592,017	9,532,479	24,091,644
გადაანგარიშების ეფექტი	(163,821)	(10,592,017)	10,997,099	241,261
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,803,327	-	20,529,578	24,332,905
გაცემული დივიდენდი	-	-	(1,288,484)	(1,288,484)
პერიოდის შედეგი	-	-	2,909,140	2,909,140
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,803,327	-	22,150,234	25,953,561
გაცემული დივიდენდი	-	-	(492,079)	(492,079)
პერიოდის შედეგი	-	-	1,004,544	1,004,544
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,803,327	-	22,662,699	26,466,026

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,967,148	10,692,017	9,532,479	24,091,644
გადაანგარიშების ეფექტი	(163,821)	(10,592,017)	10,997,099	241,261
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,803,327	-	20,529,578	24,332,905
გაცემული დივიდენდი	-	-	(1,288,484)	(1,288,484)
პერიოდის შედეგი	-	-	2,909,140	2,909,140
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,803,327	-	22,150,234	25,953,561
გაცემული დივიდენდი	-	-	(492,079)	(492,079)
პერიოდის შედეგი	-	-	1,004,544	1,004,544
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,803,327	-	22,662,699	26,466,026

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გადაანგარიშების ეფექტი				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით				
გაცემული დივიდენდი				
პერიოდის შედეგი				
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გაცემული დივიდენდი				
პერიოდის შედეგი				
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 იანვარს

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია



შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“
 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარიში)

	შენიშვნა	2024	2023
მოგება დაბეგვრადმე		1,004,544	2,909,140
კორექტირებები:			-
ცვეთა და ამორტიზაცია	6	6,241,151	4,247,146
საპროცენტო ხარჯი	12	3,692,333	299,443
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	9	80,507	634,025
ძირითადი საშუალებების მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	20	548,580	1,127,976
მეგავშირე საწარმოს წილის გაუფასურება/ (ზრდა)		(15,931)	799,090
დივიდენდის არაოპერაციული შემოსავლის კორექტირება	20	(316,388)	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(7,704)	20,968
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			-
მარაგები		3,984	(510,460)
სხვა აქტივები		167,923	129,442
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(3,512,468)	(1,475,761)
გადახდილი ავანსები		(366,667)	(1,403,207)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		771,736	322,916
საგადასახადო ვალდებულება		485,798	262,070
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		8,777,398	7,362,788
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(32,529,416)	(5,925,028)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		534,019	713,784
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(7,921)	-
ინვესტიციების ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		(114,000)	(792,100)
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი	20	316,388	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(31,800,930)	(6,003,344)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოდინება მიღებული სესხებიდან	12	31,801,182	30,000,000
გაცემული დივიდენდები	14	(492,079)	(1,288,484)
მიღებული სესხების დაფარვა	12	(4,339,132)	(30,701,451)
სესხებზე გადახდილი პროცენტები	12	(3,542,090)	(312,382)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		23,427,881	(2,302,317)
ცვლილება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		404,349	(942,873)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებში	19	7,705	(20,970)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	292,391	1,256,234
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		704,445	292,391

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია

შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედიცინა“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
მოგება დაბეგვრადზე		1,004,544	2,909,140
კორექტირებები:			-
ცვთა და ამორტიზაცია	6	6,241,151	4,247,146
საპროცენტო ხარჯი	12	3,692,333	299,443
საცვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	9	80,507	634,025
ბირთადი საშუალებების მიღებული წმინდა მოგება/ზარალი	20	548,580	1,127,976
მეკავშირე საწარმოს წილის გაუფასურება/ (ზრდა)		(15,931)	799,090
დივიდენდის არაოპერაციული შემოსავლის კორექტირება	20	(316,388)	-
		(7,704)	20,968
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი			-
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		3,984	(510,460)
26 მარაგები		167,923	129,442
სხვა აქტივები		(3,512,468)	(1,475,761)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(366,667)	(1,403,207)
გადახდილი ავანსები		771,736	322,916
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		485,798	262,070
საგადასახადო ვალდებულება		8,777,398	7,362,788
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(32,529,416)	(5,925,028)
ბირთადი საშუალებების შესყიდვა		534,019	713,784
ბირთადი საშუალებების რეალიზაცია		(7,921)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(114,000)	(792,100)
ინვესტიციების ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		316,388	-
შვილობილი კომპანიისგან მიღებული დივიდენდი	20		-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(31,800,930)	(6,003,344)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			-
შემოდინება მიღებული სესხებიდან	12	31,801,182	30,000,000
გაცემული დივიდენდები	14	(492,079)	(1,288,484)
მიღებული სესხების დაფარვა	12	(4,339,132)	(30,701,451)
სესხებზე გადახდილი პროცენტები	12	(3,542,090)	(312,382)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		23,427,881	(2,302,317)
ცვლილება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		404,349	(942,873)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებში	19	7,705	(20,970)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	292,391	1,256,234
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბერს		704,445	292,391

* ზოგიერთი მონაცემი არ შეესაბამება წინა პერიოდს წარდგენილ მონაცემს, ვინაიდან ხელმძღვანელობამ მოახდინა წინა პერიოდის კორექტირება და წარადგინა შენიშვნა 26-ში.

(39)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს

გენერალური დირექტორი

მედეა ქაჯაია



შენიშვნები 10-33 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(აღიღია ფული და ფულის ეკვივალენტები)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ (შემდგომში „ჯგუფი“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. ჯგუფი (სარეგისტრაციო ნომერი: 445 466 870) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2015 წლის 16 ივლისს.

ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N:74, ქალაქი ბათუმი პუშკინის ქუჩა N118, ქალაქი ბათუმი პუშკინის ქ N 120.

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ მომსახურებას.

ჯგუფის მესაკუთრეა ფიზიკური პირი მუხამედ ართმელაძე (პ/ნ 61001070481) 100 %-იანი წილით.

2024-2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ჰყავს შვილობილი კომპანიები:

შპს „სოლომედი“ ს/ნ 445455720. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა N:118. აღნიშნული ჯგუფის 100%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.

შპს „ინტენსიური ზრუნვის ცენტრი“ ს/ნ 402 131 527. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი N:12 ა, ბინა 42.

ჯგუფის აქვს ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში:

შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა“ ს/ნ 245 412 012, ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4. აღნიშნული ჯგუფის 10%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.

შპს „ავიგენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი“ ს/ნ 445 655 700. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4. აღნიშნული ჯგუფის 50%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით და ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დამკვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დამკვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ჯგუფის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და ჯგუფის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი - შვილობილი არის ჯგუფის მიერ კონტროლირებული საწარმო. ჯგუფი აკონტროლებს ჯგუფის თუ მას აქვს შვილობილ ჯგუფში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე.

კონტროლის დაკარგვა - მას შემდეგ რაც კონტროლი დაიკარგება, ჯგუფი წყვეტს შვილობილის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას რომლებიც შვილობილს უკავშირდება. ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი რომელიც წარმოიშობა კონტროლის დაკარგვისას აღიარდება მოგება ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს ყოფილ შვილობილში, ასეთი წილი შეფასებულია რეალური ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღის მდგომარეობით.

კონსოლიდაციისას ამოღებული ოპერაციები - შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ოპერაციებით ამოღებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.9306	2.6894
1 EUR/GEL	2.8068	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	2023
1 USD/GEL	2.7247	2.6279
1 EUR/GEL	2.9345	2.8416

3.2. შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.3. საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.4. ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი ჯგუფისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე ჯგუფისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლებში ასახვით და რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით. ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფიმ გამოიყენა გამარტივებული მეთოდი თავდაპირველად, ჯგუფი რეალური ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, გარიგების თვითღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფიმ გამოიყენა გამარტივებული მეთოდი, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრული შემოსავლში ასახვით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან

გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამ კატეგორიად:

- 1) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით;
- 2) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით
- 3) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულების სხვა სურს შემოსავლებში ასახვით

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტებზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

ჯგუფი ყველა ტიპის ინვესტიციას მეკავშირე საწარმოებში აღრიცხავს კაპიტალ მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფიმ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფიმ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფიმ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო

აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფის შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	მეტი 360- ზე
დარეზერვების პროცენტულობა	0%	0%	2%	10%	25%	100%

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და

ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

3.5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველ აღირიცხება მათი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება, როგორც მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, ასევე მასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების და აქტივის დამლასთან (დემონტაჟთან) დაკავშირებული მომავალი ხარჯების დღევანდელი ღირებულებისგან.

შესაბამისი ვალდებულება აღირიცხება რეზერვებში. მომდევნო პერიოდის ხარჯები აღირიცხება აქტივის მიმდინარე ღირებულებაში, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში თუკი მოსალოდნელია მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და მისი საიმედოდ განსაზღვრა. ჩანაცვლებული ნაწილის მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა რემონტის და შეკეთების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. 2021 წლიდან ჯგუფი შენობებსა და მიწას აღირიცხავს შეფასების მოდელით. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფმა კვლავ მოახდინა აღნიშნული ჯგუფის გადაფასება და დაადგინა სამართლიანი ღირებულება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შესრულებული შეფასების საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების მთლიანი შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო ნამეტი სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში გადაფასების ნამეტის სახით.

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია მათ ისტორიული ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალებების მიმდინარე ღირებულებებს, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში; ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

	წლები
შენობა-ნაგებობები	20
სატრანსპორტო საშუალებები	5-8
სამშენებლო მანქანა-დანადგარები	5-8
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5
ტექნიკა	5

3.6. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

3.7. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ახალი მოდელის (ესტონური მოდელი) მიხედვით, რომელიც ეფუძნება საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და ღარიბი ჯგუფში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო - 15% დაიბეგრება დივიდენდს განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ოპერაციები კონსოლიდირებულ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან ბენეფიტებთან ან საჩუქრებთან არ ხდება მათი ცალკე ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ასეთი მოგების გადასახადები წარდენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები სპეციფიურად იბეგრება. გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ. ჯგუფი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყენებს პოლიტიკას რომლის მიხედვითაც ასეთი გადასახადები აღირიცხება წინასწარ გადახდილ გადასახადებად. ხოლო, სესხის დაფარვის და საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის ანაზღაურების მომენტში წინასწარ გადახდები უქმდება. ამრიგად, ასეთი ოპერაციები არ ახდენს გავლენას მოგება-ზარალზე.

აღნიშნული მოდელის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და მათ საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად ბაზს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ.

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება, განურჩევლად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

3.8. წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

3.9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ან დეპოზიტზე 3 თვეზე მცირე ვადით.

3.10. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ცვლილება ჯგუფის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) მოხდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რაც რეალურად შეტანილი იქნა ჯგუფში მფლობელის მიერ.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ნებისმიერი ღივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 27).

3.11. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3.12. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15 აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსარიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ხუთ-საფეხურიანი პროცესი მოიცავს შემდეგს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება/შესრულების პროცესში.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

3.13. ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

ჯგუფის გააჩნია კონტროლი საწარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით იმ მომენტიდან, როდესაც ჯგუფი მათზე მოიპოვებს კონტროლს და აღირიცხება მანამ, სანამ მათზე კონტროლს დაკარგავს. ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება

ყოველ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მაჩვენებელი. თუ რაიმე ასეთი მაჩვენებელი არსებობს, ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება. გამოყენების ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის მიღების ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი აღიარებულია, როდესაც ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით.

თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვალდებულების მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროექტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 10-ში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები: ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხი: ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფის აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოითქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მოსალოდნელ საგარანტიო ვალდებულებების წარმოქმნას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ

ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს მიმდინარე პროექტების ზარალის მოსალოდნელი ოდენობის შესახებ შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ამ რედაქციაში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოიცავს ხუთი საბუღალტრო სტანდარტის ცვლილებას.

დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილსა და შემდგომ შეჯამებებში:

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები
ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე არამიმდინარე ვალდებულებად (ბასს 1-ის შესწორება)	იან-20	1-იან-24	ბასს 1
გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში (ფასს 16-ის შესწორება)	სექ-22	1-იან-24	ფასს 16
არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის შესწორება)	ოქტ-22	1-იან-24	ბასს 1
მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ბასს 7 და ფასს 7-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-24	ბასს 7, ფასს 7
საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — (ბასს 12-ის შესწორებები)	მაი-23	1-იან-23	ბასს 12

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებად

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა“-ში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ვალდებულება არამიმდინარე უნდა ჩაითვალოს: კერძოდ, ჯგუფის უნდა ჰქონდეს უფლება ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების არანაკლებ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

გაქირავების ვალდებულება გაყიდვაში და უკუ-გაქირავებაში

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები ადგენს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება გაყიდვისა და უკუ-გაქირავების ტრანზაქციების შემდგომ აღრიცხვას.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით

ბასს 1-ის ამ ცვლილებამ გააუმჯობესა იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც კომპანიები აწვდიან, როდესაც ვალდებულების ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია გარკვეულ გარანტიებზე. ცვლილებები ასევე პასუხობს დაინტერესებული მხარეების დაინტერესებას ვალდებულებების კლასიფიკაციის შესახებ.

მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ბასს 7-ის შესწორებები კომპანიებს ავალდებულებს, რომ მათ დამატებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების შესახებ. ამასთან, ფასს 7-ში აღნიშნული შესწორებები ამ შეთანხმებებს აქცევს ლიკვიდობის რისკის გამჟღავნების მოთხოვნებში ერთ-ერთ მაგალითად.

საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა — ჰილარ II მოდელის წესები

ბასს 12-ის შესწორებები ღროებით ათავისუფლებს კომპანიებს გარკვეული ტიპის გადავადებული გადასახადების აღრიცხვისა და გამჟღავნების ვალდებულებებისგან, როდესაც ისინი დაკავშირებულია მეორე საყრდენის საგადასახადო წესებთან. ამასთან, ცვლილებები მოიცავს მიზნობრივ გამჟღავნების მოთხოვნებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ამ წესებით დაზარალებიან. ცვლილებების გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი არ არის.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულია

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომისიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულია (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრუული შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრეტაციები

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომისიას ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიას გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომისიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

შპს „მატალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა ნაგებობა	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობები და ავეჯი	სპეციალური მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება									
31 დეკემბერი, 2022	1,514,274	270,574	16,926,602	1,177,789	2,132,172	12,966,075	155,353	66,459	35,209,298
ზრდა	11,504,293	839,264	13,408,942	1,160,108	874,760	10,370,328	22,881	-	38,180,576
შემცირება	(85,189)	-	(1,695,326)	-	(768)	(295,852)	(14,658)	-	(2,091,793)
31 დეკემბერი, 2023	12,933,378	1,109,838	28,640,218	2,337,897	3,006,164	23,040,551	163,576	66,459	71,298,081
ზრდა	1,002,040	859,124	21,181	466,995	570,870	2,125,083	-	52,590	5,097,883
შემცირება	(496,680)	-	-	-	(27)	(1,303,039)	-	-	(1,799,746)
31 დეკემბერი, 2024	13,438,738	1,968,962	28,661,399	2,804,892	3,577,007	23,862,595	163,576	119,049	74,596,218
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი, 2022	-	-	(2,292,036)	(356,727)	(1,026,793)	(6,424,190)	(131,197)	(24,957)	(10,255,900)
ხარჯი	-	-	(865,210)	(145,270)	(439,301)	(2,759,826)	(32,076)	(5,391)	(4,247,074)
შემცირება	-	-	30,077	-	-	182,895	55,983	-	268,955
31 დეკემბერი, 2023	-	-	(3,127,169)	(501,997)	(1,466,094)	(9,001,121)	(107,290)	(30,348)	(14,234,019)
ხარჯი	-	-	(1,487,714)	(324,831)	(572,014)	(3,819,361)	(28,424)	(7,882)	(6,240,226)
შემცირება	-	-	-	-	-	736,184	-	-	736,184
31 დეკემბერი, 2024	-	-	(4,614,883)	(826,828)	(2,038,108)	(12,084,298)	(135,714)	(38,230)	(19,738,061)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი, 2022	1,514,274	270,574	14,634,566	821,062	1,105,379	6,541,885	24,156	41,502	24,953,398
31 დეკემბერი, 2023	12,933,378	1,109,838	25,513,049	1,835,900	1,540,070	14,039,430	56,286	36,111	57,064,062
31 დეკემბერი, 2024	13,438,738	1,968,962	24,046,516	1,978,064	1,538,899	11,778,297	27,862	80,819	54,858,157

შემოსავლების სამსხურის 2024 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული შეტყობინების საფუძველზე საგადასახადო გირავნობა ეხება ჯგუფის მთელ ქონებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული 5,075,494 ლარის ძირითადი საშუალებები (2023: 2,757,877)

შპს „მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

შემოსავლების სამსხურის 2024 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული შეტყობინების საფუძველზე საგადასახადო გირავნობა ეხება ჯგუფის მთელ ქონებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული 5,044,318 ლარის ძირითადი საშუალებები (2023: 2,752,940)

7. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

დასახელება	წილობრივი მონაწილეობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა	10%	1,495,059	1,495,056
შპს ავიგენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი	50%	373,641	243,712
ჯამი		1,868,700	1,738,768

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	1,738,768	1,745,759
დამატებითი შენატანები (აქტივების შეტანა)	-	-
დამატებითი შენატანები (ფულადი)	114,000	792,097
მეკავშირე საწარმოს წილის გაუფასურება/ზრდა	15,932	(799,088)
ნაშთი წლის ბოლოს	1,868,700	1,738,768

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მედიკამენტები და სამედიცინო მასალები	2,596,693	2,616,410
სხვა მარაგები	15,780	49
ჯამი	2,612,473	2,616,459

შემოსავლების სამსხურის 2024 წლის 17 დეკემბრით დათარიღებული შეტყობინების საფუძველზე საგადასახადო გირავნობა ეხება ჯგუფის მთელ ქონებას.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	12,900,845	9,388,377
გაუფასურების რეზერვი	(714,532)	(634,025)
ჯამი:	12,186,313	8,754,352

მოთხოვნების გაუფასურება:

	2024	2023
1 იანვარი	(634,025)	-
ზრდა	(80,507)	(634,025)
31 დეკემბერი	(714,532)	(634,025)

10. გადახდილი ავანსები

გაცემული ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წელს შეადგენს 1,770,917 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის წლის მდგომარეობის 1,404,186

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	12,395	17,688
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	270,539	210,039
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	421,511	64,664
ჯამი	704,445	292,391

12. მიღებული სესხი

	პროცენტი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები				
სს ვითიბი ბანკი	10%	ლარი	-	(739,594)
სს ვითიბი ბანკი	10%	ლარი	(26,534,779)	-
სს თიბისი ბანკი	12.5%	ლარი	-	(500,000)
სულ გრძელვადიანი სესხები			(26,534,779)	(1,239,594)
გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი				
სს ვითიბი ბანკი	10%	ლარი	(603,562)	(826,395)
სს ვითიბი ბანკი	10%	ლარი	(2,539,940)	-
სულ მოკლევადიანი სესხები			(3,143,502)	(826,395)

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხების ქვეშ არ იყო დატვირთული ჯგუფის უძრავ-მოძრავი ქონება. ასევე აღნიშნული პერიოდებისათვის ჯგუფის არ გააჩნდა ბანკის მხრიდან დასაკმაყოფილებელი კოვენანტები.

სესხების მოძრაობა 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვედა ცხრილის სახით:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	2,065,988	2,780,380
ფულადი ნაკადები:		
სესხის მიღება	31,801,182	30,000,000
გადახდები წლის განმავლობაში	(4,339,135)	(30,701,451)
საპროცენტო ვალდებულების დაფარვა	(3,542,087)	(312,384)
არაფულადი ნაკადები:		
პროცენტის დარიცხვა	3,692,333	299,443
31 დეკემბრის მდგომარეობით	29,678,281	2,065,988

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13,816,667	41,194,565
პაციენტებზე უკან დაბრუნება	79,676	5,442
გადასახდელი ხელფასები	2,637,060	1,974,156
ჯამი	16,533,403	43,174,153

14. კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს 3,803,378 ლარს.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფიმ გამოაცხადა 492,079 ლარის, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 1,288,284

ფულადი და არაფულადი დივიდენდები წარმოდგენილია გადასახადების ჩათვლით.

15. შემოსავალი

	2024	2023
პაციენტის დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი	41,976,379	23,571,413
პაციენტის თანაგადახდიდან მიღებული შემოსავალი	16,038,204	10,722,866
პაციენტის კვლევის დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი	975,952	846,787
სისხლის ბანკის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	74,903	84,462
სხვა შემოსავალი	23,803	12,861
შემოსავალი ამბულატორიული საქმიანობის დაფინანსებიდან	40,747	45,622
	59,129,988	35,284,011

16. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	18,933,709	8,493,224
მედიკამენტები	11,493,935	6,258,402
კლინიკების მომსახურების ხარჯი	2,619,046	1,319,813
ცვეთა და ამორტიზაცია.	5,976,673	4,143,701
პაციენტების კვება	683,433	372,796
ჟანგბადი/ნახშირორჟანი	49,850	-
სხვა ხარჯები	556,831	324,188
ჯამი:	40,313,477	20,912,124

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	9,681,676	6,385,062
კომუნალურების ხარჯი	1,820,182	1,018,500
დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა	718,981	789,475
საპენსიო ფონდი	398,312	216,078
ცვეთა და ამორტიზაცია	264,479	103,445
სამეურნეო ხარჯი	250,669	106,068
წარმომადგენლობითი ხარჯები	215,334	119,659
მომსახურება	117,530	187,521
საბანკო ხარჯები	108,756	92,583
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	87,692	37,134
საოფისე ინვენტარის ხარჯები	84,734	53,751
საკონსულტაციო მომსახურება	60,784	28,055
დაზღვევის ხარჯები	50,526	46,525
საიჯარო ქირა	49,394	49,833
მივლინების ხარჯები	24,322	33,896
გადასახადები	17,764	9,043
ბანკის მომსახურების საკომისიო	17,684	14,601
ოფისის მომსახურება	6,148	6,206
სხვა ხარჯი	967,630	550,347
	14,942,597	9,847,782

ჯგუფის 2024 და 2023 წლების აუდიტის მომსახურების ხარჯს შეადგენს 23,600 ლარი და 23,600 ლარი შესაბამისად.

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	415,449	355,723
შვილობილი ჯგუფისგან მიღებული დივიდენდი	316,388	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	195,693	-
ძირითადი საშაღებებისგან მიღებული შემოსავალი	548,580	1,127,976
ჯამი:	1,476,110	1,483,699
არასაოპერაციო ხარჯი		
უიმედო მოთხოვნების ჩამოწერა	(474,572)	(923,512)
ჯარიმები და საურავები	(7,061)	(5,993)
ერთბლივი საქმიანობიდან მიღებული თანხების ჩამოწერა	-	(272,897)
სხვა ხარჯი	-	(26,170)
ჯამი:	(481,633)	(1,228,572)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	994,477	255,127

19. საკურსო მოგება

საკურსო მოგება	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,946	5,505
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	29,402	21,261
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	25,413	47,484
სულ	83,761	74,250
საკურსო ზარალი		
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,546	26,425
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	7,705	20,970
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	308,009	49,947
სულ	337,260	97,342
საკურსო მოგება/ზარალი	253,499	23,092

20. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	243,361	171,306
ჯამი:	243,361	171,306
ფინანსური ხარჯი	(3,692,333)	(299,444)
ჯამი:	(3,692,333)	(299,444)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	(3,448,972)	(128,138)

21. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა ჯგუფზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. ჯგუფი დაარსდა 2018 წელს და შესაბამისად მისთვის რელევანტური არაა ცვლილების მიღებამდე არსებული მოდელი და მასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის გაანგარიშებები.

ჯგუფის სრულად ასრულებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ ახალ სისტემის პირობებს, რაც ითვალისწინებს მხოლოდ რეალურად განაწილებული მოგების დაბეგრას, შესაბამისად, 2017 წლამდე დაგროვილი განაწილებული მოგების არარსებობის პირობებში, ჯგუფი აღნიშნული გადასახადის (ე.წ. სადისტრიბუციო გადასახადი) გადამხდელი არ ხდება.

22. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

23. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს; ასევე
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს), და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა აქტივები		19,086	187,008
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	12,186,313	8,754,352
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	692,050	274,703
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		12,897,449	9,216,063

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად განისაზღვრა:

შპს „მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	რეზერვირების განაკვეთი		საბალანსო ღირებულება		გაუფასურების რეზერვი	
	2024	2023	2024	2023	2024	2023
	%	%	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
არავადაგადაცილება	-	-	7,550,593	4,325,402	-	-
1-დან 3 თვემდე ვადაგადაცილება	2%	2%	2,767,494	1,533,347	960	630
3-დან 6 თვემდე ვადაგადაცილება	10%	10%	658,264	2,124,434	13,852	8,800
6-დან 12 თვემდე ვადაგადაცილება	25%	25%	353,709	105,489	3,780	5,188
12 თვეზე მეტი	100%	100%	856,253	665,680	695,940	619,407
სულ			12,186,313	8,754,352	714,532	634,025

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფის აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არა-დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

შპს „მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

ამგვარი არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერისა მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სხვა აქტივები	-	19,086	19,086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,900,845	-	12,900,845
ფული და ფულის ეკვივალენტები	704,445	-	704,445
სულ ფინანსური აქტივები	13,605,290	19,086	13,624,376
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(3,143,502)	(26,534,779)	(29,678,281)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(13,816,666)	-	(13,816,666)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(16,960,168)	(26,534,779)	(43,494,947)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(3,354,878)	(26,515,693)	(29,870,571)

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	-	187,008	187,008
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,388,377	-	9,388,377
ფული და ფულის ეკვივალენტები	292,391	-	292,391
სულ ფინანსური აქტივები	9,680,768	187,008	9,867,776
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(826,396)	(1,239,594)	(2,065,990)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	(41,194,565)	-	(41,194,565)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(42,020,961)	(1,239,594)	(43,260,555)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(32,340,193)	(1,052,586)	(33,392,779)

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფიზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფის აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი ჯგუფი და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;
- ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი.

ნაშთები:

	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მეკავშირე საწარმო	7,120	17,420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	45,605	45,605

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ხელფასები და ბონუსები	448,582	224,144
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება სულ	448,582	224,144

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

26. წინა პერიოდის შესადარისი რიცხვების კორექტირება

უკეთესად წარდგენის მიზნით, ჯგუფიმ განახორციელა გარკვეული შეცდომების გასწორება შესადარის ნაშთებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია შეცდომების გასწორების საერთო ეფექტი წინა პერიოდის ნაშთებზე. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ძირითადად შემდეგი გარემოების გამო: ჯგუფი 2024 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გადაწყვიტა 2023 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა მოახდინეს მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
31 დეკემბერი, 2023			
ძირითადი საშუალებები	55,575,296	1,488,766	57,064,062
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	2,637,208	(898,440)	1,738,768
გადახდილი ავანსები	1,404,546	(296)	1,404,250
გაცემული სესხები	187,022	(14)	187,008
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,463,950	(709,598)	8,754,352
ფული და ფულის ეკვივალენტები	292,392	(1)	292,391
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	43,252,142	(77,979)	43,174,163
საგადასახადო ვალდებულებები	827,044	33,038	860,082
მიღებული სესხები.	1,239,604	(11)	1,239,593
მიღებული ავანსები	15,057	(11,058)	3,999
საწესდებო კაპიტალი	3,967,148	(163,822)	3,803,326
გადაფასების რეზერვი	10,592,017	(10,592,017)	-
გაუნაწილებელი მოგება	11,457,962	10,692,272	22,150,234

შპს „მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
31 დეკემბერი, 2022			
ძირითადი საშუალებები	24,612,790	340,608	24,953,398
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	1,845,109	(99,350)	1,745,759
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,105,999	(1)	2,105,998
გადახდილი ავანსები	1,069,244	(1,068,201)	1,043
გაცემული სესხები	331,190	(14,739)	316,451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,873,010	39,606	7,912,616
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,255,025	1,209	1,256,234
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11,426,413	(849,637)	10,576,776
მიღებული სესხები	2,966,279	(185,899)	2,780,380
საგადასახადო ვალდებულებები	585,385	12,627	598,012
მიღებული ავანსები	23,278	(19,278)	4,000
საწესდებო კაპიტალი	3,967,148	(163,821)	3,803,327
გადაფასების რეზერვი	10,592,017	(10,592,017)	-
გაუნაწილებელი მოგება	9,532,478	10,997,100	20,529,578

მოგება-ზარალის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
31 დეკემბერი, 2023			
შემოსავალი	35,874,061	(590,050)	35,284,011
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(9,795,017)	(11,117,107)	(20,912,124)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(21,011,117)	11,163,335	(9,847,782)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)	-	(634,025)	(634,025)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(1,245,407)	1,500,534	255,127
მეკავშირე საწარმოს წლის გაუფასურება/ზრდა	-	(799,090)	(799,090)
საკუროს მოგება/ზარალი	(23,094)	2	(23,092)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(124,521)	(3,617)	(128,138)
მოგების გადასახადი	(285,879)	132	(285,747)

ფულადი სახსრების ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
31 დეკემბერი, 2023			
წლის მოგება დაბეგვრამდე:	3,389,026	(479,886)	2,909,140
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	37,202,904	(29,840,116)	7,362,788
საინვესტიციო საქმიანობიდან	(35,801,764)	29,798,420	(6,003,344)
საფინანსოდან	(2,363,773)	61,456	(2,302,317)

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

- ჯგუფის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და განვითარება
- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება
- ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ
- ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- ჯგუფის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

1. ჯგუფის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და განვითარება

საქმიანობის მიმოხილვა: შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“ (შემდგომში ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 16 ივლისს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 445466870. კლინიკის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N74/პუშკინის ქ., N118/N120. კლინიკის სარეკლამო სახელწოდებაა „მედცენტრი“. კლინიკა ახორციელებს, როგორც სტაციონარულ ასევე ამბოლატორიულ მომსახურებას და აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან. არის კლინიკური ბაზა შპს ავიცენა ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, როგორც სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, ასევე სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ნაწილში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკის 100%-იანი წილის მფლობელია მუხამედ ართემლაძე პ/ნ 61001070481, ხოლო დირექტორი მედეა ქაჯაია, პ/ნ 61002003652.

ბიზნესის მოდელი: შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბოლატორიულ მომსახურებას, კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებები:

- გადაუდებელი მედიცინა (ემერჯენსი);
- კრიტიკული მედიცინა და ანესთეზია;
- ზოგადი ქირურგია;
- უროლოგია;
- გინეკოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია;
- ტრავმატოლოგია;
- კლინიკური ონკოლოგია (ქიმიოთერაპია და პალიატიური მედიცინა);
- კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია;
- არითმოლოგია;
- ანგიოლოგია;
- ნევროლოგია და ნეიროქირურგია;
- დიალიზი;
- სისხლის ბანკი
- რადიოლოგია (ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია);
- კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული და პათომორფოლოგიური ლაბორატორია;
- თირკმლის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია;
- ოფთალმოლოგია;
- კარდიოქირურგია;
- შინაგანი მედიცინა;

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა კლინიკა მონაწილეობასღებულობს სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში, საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში. კლინიკაში მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

ჯგუფის ღირებულებები: კლინიკის ძირითადი მიზანია დროული და სწორი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას. კლინიკა ფლობს ახალ სამედიცინო აპარატს, როგორც ექსკოპიურ კვლევებში, ასევე ლაბორატორიაში და სტაციონარში.

საქართველოს N36 დადგენილებით („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) 57 მუხლის შესაბამისად გამოცემული №4/6 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სისრულეში მოყვანისთვის, კერძოდ, 2025 წლის 1 იანვრისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მიზნით შპს მაღალტექნოლოგიურ ჰოსპიტალ მედცენტრმა ჩამოთვლილი მთავარი პირობების ნუსხიდან აარჩია American Accreditation Commission International (AACI).

შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის პროფილის, კლინიკური მიმართულებების შესაბამისად, განესაზღვრა სტანდარტების რაოდენობა და მოცულობა. 2024 წლის 09-10 ოქტომბერს განხორციელდა American Accreditation Commission International (AACI)-ის ექსპერტების ვიზიტი კლინიკაში და მოხდა შეფასება. მოცემული ეტაპისათვის კლინიკას აქვს აკრედიტაციის სერტიფიკატი, რომელიც ვალიდურია 3 წლის ვადით.

საერთაშორისო აკრედიტაცია არის მართვის, უსაფრთხოებისა და ხარისხის სისტემური ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კლინიკაში არსებული სრული პროცესი და ციკლი, თანხვედრაში იყოს როგორც საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებთან, ისე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან, შედეგად იზრდება პაციენტთა უსაფრთხოება, სერვისების ხარისხი. ოპერაციული ეფექტიანობა და ფინანსური მდგრადობა, რაც პირდაპირ ემსახურება სამედიცინო დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს.

მიზნის მისაღწევად ჯგუფი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

პასუხისმგებლობა - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც პაციენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;

კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახურით თითოეულ პაციენტს;

პროფესიონალიზმი - უწყვეტად ვიზრუნით ჩვენს პროფესიულ განვითარებაზე და პაციენტებს გავუწიით კვალიფიციური მომსახურება;

გუნდური სულისკვეთება - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (HR Policy) ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, რომ ორგანიზაციამ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს თავისი ადამიანური კაპიტალი და შექმნას სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლები მოტივირებული, დაცული და პროდუქტიულები იქნებიან.

მისი ფოკუსი რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. რეკრუტინგი და შერჩევა – სწორი კადრების მოძიება და სამუშაოსთვის შესაბამისი კანდიდატების არჩევა.
2. ტრენინგი და განვითარება – თანამშრომლების უნარების, ცოდნისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა.
3. მოტივაცია და შრომითი კმაყოფილება – სამართლიანი ანაზღაურება, ბენეფიტები, კარიერული ზრდის შესაძლებლობები.
4. შრომითი ურთიერთობები – თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის ჯანმრთელი ურთიერთობის შენარჩუნება.
5. კორპორატიული კულტურა – ღირებულებების, ეთიკისა და თანასწორობის ხელშეწყობა.
6. შესრულების მართვა – თანამშრომელთა მუშაობის შეფასება, მიზნების დასახვა და უკუკავშირის სისტემა.
7. შრომითი უსაფრთხოება და კეთილდღეობა – უსაფრთხო სამუშაო გარემო და თანამშრომელთა ფიზიკური/ემოციური ჯანმრთელობის დაცვა.

კანონისა და რეგულაციების დაცვა – შრომითი კანონმდებლობის, წესებისა და რეგულაციების დაცვა.

შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა: კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კლინიკა „მედეცენტრის“ ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კლინიკის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა;
- კეთილსინდისიერება;
- პროფესიონალიზმი;
- გუნდური სულისკვეთება;
- მოქნილობა;

2. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. ჯგუფის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე. სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსე სისტემას.

„მედეცენტრში“ დასაქმებულია საშუალოდ 1200-მდე თანამშრომელი, რომელთა დიდი ნაწილი აჭარის რეგიონიდანაა.

3. ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმა

ვინაიდან კლინიკის მიზანია სწორი სადიაგნოსტიკო მკურნალობა და დროული სამედიცინო მომსახურების გაწევა, ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენაზე და გაფართოებაზე. 2023 წლის ბოლოს დაგეგმილი ახალი ფილიალის გახსნა წარმატებით განხორციელდა და აღნიშნულ ფილიალში იგეგმება ახალი მიმართულებების დანერგვა.

4. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შესახებ: შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ მომსახურებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ჰყავს შვილობილი კომპანიები:

შპს „სოლომედი“ ს/ნ 445455720. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა N:118. აღნიშნული ჯგუფის 100%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.

შპს „ინტენსიური ზრუნვის ცენტრი“ ს/ნ 402131527. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი N:12 ა, ბინა 42.

ჯგუფის აქვს ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში:

შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა“ ს/ნ 245412012, ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4. აღნიშნული ჯგუფის 10%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.

შპს „ავიგენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი“ ს/ნ 445655700. ჯგუფის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4. აღნიშნული ჯგუფის 50%-წილის მფლობელი არის შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი.


2023 წლის 28 დეკემბრიდან ჯგუფიმ შეიძინა ახალი ფილიალი, რომლის სახელწოდებაცაა: შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი-ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი. ფილიალი მდებარეობს ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა N125.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

როგორც ფინანსური ანგარიშგების ფორმებშია ასახული, ჯგუფის მომგებიანობა წინა წელთან შედარებით მატულობს, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კლინიკა არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას. ამის დასტურს იძლევა ასევე ბალანსის მონაცემებიც, რაც შეგვიძლია იხილოთ შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“-ს ანგარიშგებებში.

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
მიმდინარე აქტივები	17,293	13,254
მიმდინარე ვალდებულებები	21,027	44,865
საბრუნავი კაპიტალი (WC)	(3,734)	(31,610)

ჯგუფის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო ორი წლის განმავლობაში:



6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფის არ გააჩნია გამოსყიდული საკუთარი აქციები.

7. ჯგუფის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულეების გათვალისწინებით არსებობს გარკვეული რისკები, რაც დაკავშირებულია, როგორც ფინანსურ ნაწილზე ასევე მენეჯმენტზე.

ფინანსური რისკის ნაწილს წარმოადგენს ლიკვიდურობა, რაც ასევე წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ დანაკარგს. ეს არის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და კლინიკას წარმოუშობა უიმედო მოთხოვნები, რაც თავის მხრივ კლინიკას ქმნის უუნაროს, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები ფულადი სახსრებით. აღნიშნულ რისკებს წინასწარ უწევს მონიტორინგს შესაბამისი კადრები, რომლებიც ხელმძღვანელობის მხრიდან პერიოდულად ტრენინგდებიან.

რისკ ფაქტორებში განიხილება ასევე საკრედიტო რისკი. ამ რისკზეა დამოკიდებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება. როგორც კლინიკის ბალანსიდან ვხედავთ საკრედიტო ვალდებულება მკვეთრად გაზრდილია, რაც აქტივების ზრდასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო რისკი კლინიკას უქმნის ფასების ცვალებადობის და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს. ამ რისკების მართვის მიზანია მათზე დამოკიდებულების მართვა და მისაღები პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალური ამონაგების მიღება.

რისკ ფაქტორებში დიდად საყურადღებოა „ახალი რეგულაციების“ შემოღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კლინიკის რეალიზაციას, თუ ამ რეგულაციების ცვლილებით უარი ითქმება მთლიანად ან ნაწილობრივ საყოველთაო დაზღვევის დაფინანსებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს, მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით. რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და არსებულ

შპს „მაღალტექნოლოგიური მედიცინის ცენტრი“
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საბაზრო რისკი კლინიკას უქმნის ფასების ცვალებადობის და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს. ამ რისკების მართვის მიზანია მათზე დამოკიდებულების მართვა და მისაღები პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალური ამონაგების მიღება.

რისკ ფაქტორებში დიდად საყურადღებოა „ახალი რეგულაციების“ შემოღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კლინიკის რეალიზაციას, თუ ამ რეგულაციების ცვლილებით უარი ითქმება მთლიანად ან ნაწილობრივ საყოველთაო დაზღვევის დაფინანსებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს, მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით. რისკების მინიმუმზადების მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და არსებულ მდგომარეობას. ჯგუფი დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოჯისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის და მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

(ქართულ ლარში)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედიცინა“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს.

შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედიცინა“-ს დირექტორი

მედეა ქაჯაია



26.09.2025 წელი

მმართველობის ანგარიშგება შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედიცინა“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს.